

შპს აგრონომი
2018 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

2018 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4
2018 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3. ამონაგები.....	12
4. ფინანსური დანახარჯი	12
5. სხვა ხარჯები	13
6. ფინანსური შემოსავალი	13
7. ძირითადი საშუალებები.....	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
9. მარაგები.....	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	16
12. საგადასახადო ვალდებულება.....	16
13. კაპიტალი.....	16
14. მიმდინარე სესხები	16
15. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალ.....	17
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17


2018 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2018
შემოსავალი	(3)	12,325,885
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8,735,837)
საერთო მოგება		3,590,048
დასაქმებულთა ანაზღაურება		996,006
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(83,366)
საპროცენტო შემოსავალი	(6)	7,827
საპროცენტო ხარჯი	(4)	(71,768)
იჯარის ხარჯი		(129,155)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5)	(340,394)
საოპერაციო მოგება		2,071,745
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ზარალი		98662
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(15)	2148
მოგება დაბეგვრამდე		2,077,996
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული მოგება		2,077,996

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



დირექტორი
ქრისტინა გოგმეჩაძე




ბუღალტერი
ცაბა მეტრეველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	(7)	974,026	875,986
სულ გრძელვადიანი აქტივები		974,026	875,986
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	(9)	1,804,083	1,330,561
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(8)	1,463,023	7,473,192
ფული და ფულის ეკვივალენტები	(11)	59,676	60,941
სულ მიმდინარე აქტივები		3,326,782	8,864,694
სულ აქტივები		4,300,808	9,740,680
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	(13)	718,824	2,512,986
გაუნაწილებელი მოგება		2,948,454	872,949
სულ საკუთარი კაპიტალი		3,667,278	3,385,935
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(10)	628,473	6,336,933
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	(12)	5,057	17,812
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		633,530	6,354,745
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,300,808	9,740,680

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:


 დირექტორი
 ქრისტინა გოგმეჩაძე


 ბუღალტერი
 ცაცა მეტრეველი

2018 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის უწყისი


2018 წლის 31 დეკემბერის პერიოდებისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	2,512,986	872,950	3,385,936
კაპიტალის შევსება ფულადი საშუალებებით	50,680		50,680
კაპიტალის გატანა ფულადი საშუალებებით	(1,847,334)		(1,847,834)
პერიოდის სრული შემოსავალი		2,077,996	2,077,996
2018 წლის 31 დეკემბერი	716,332	2,950,946	3,667,278

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:



დირექტორი
ქრისტინა გოგმეჩაძე



ბუღალტერი
ცაცა მეტრეველი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2008 წლის 6 ივნისს საფირმო სახელწოდებით შპს „გეორგიკა“. 2017 წლის 16 თებერვალს კომპანიის დამფუძნებელმა გიორგი რობიტაშვილმა გაასხვისა კომპანიის წილი თამაზ ჩადუნელზე. წილის გასხვისების მომენტისათვის შპს „გეორგიკას“ ბალანსზე აქტივები და ვალდებულებები არ ერიცხებოდა.

2017 წლის 16 თებერვალს პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე მოხდა შპს „გეორგიკას“ საფირმო სახელწოდებისა და იურიდიული მისამართის ცვლილება, ნაცვლად შპს „გეორგიკას“ ეწოდა შპს „ფიერნა“, ხოლო იურიდიულ მისამართად განესაზღვრა ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის 35. 2017 წლის 27 სექტემბერს კომპანიამ კვლავ შეიცვალა საფირმო დასახელება და ეწოდა შპს „აგრონომი“.

შპს „აგრონომი“ დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 200265319. ამჟამად კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის 35.

აგრონომის საქმიანობას წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა - პესტიციდებით, შხამქიმიკატებით, სასუქებითა და მცირე სასოფლო სამეურნეო ტექნიკით ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში არამედ საზღვარგარეთ. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა

შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2,5922	3,1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2,6766	3,0433

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო დეპოზიტზე (შემნახველი ანგარიში).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებელი ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ :

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავტომობილები	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. ასევე არამატერიალური არამატერიალური აქტივი მოიცავს შეძენილ პატენტებს რომელის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 10 წლით. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ მომხდარა.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდი გაცემის დროს. ასევე მოგების დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანსაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით 15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არ წარმოქმნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი არიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის

ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ნაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი

ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

3. ამონაგები

ლარი	2018 წ.
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	12,184,931
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	140,955
სულ შემოსავალი	12,325,885

4. ფინანსური დანახარჯი

ლარი	2018 წ.
საპროცენტო ხარჯი(ბანკიდან აღებულ სესხზე)	67,862
საპროცენტო ხარჯი(ორგანიზაციიდან აღებულ სესხზე)	3,907
სულ ხარჯი	71,768

5. სხვა ხარჯები

ლარი	2018 წ.
ბანკის საკომისიო	37,885
სხვა ხარჯი	75,700
წარმომადგენლობითი ხარჯი	10,187
ქონების გადასახადის ხარჯი	10,124
საწვავის ხარჯი	32,436
დაზღვევის ხარჯი	14,576
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	1,696
ავტომანქანის ხარჯი	15,641
დაცვის ხარჯი	4,454
კომუნალური ხარჯი	13,012
კომუნიკაციის ხარჯი	12,497
მივლინების ხარჯი	969
პროფესიული მომსახურება	34,330
რეკლამის ხარჯი	3,207
მიმდინარე რემონტის ხარჯი	1,110
საკანცელარიო	2,748
სამეურნეო ხარჯი	6151
საქონლის მიწოდების ხარჯი	25,219
საგადასახადო ხარჯი	38,452
სულ სხვა ხარჯები	340,394

6. ფინანსური შემოსავალი

ლარი	2018 წ.
საპროცენტო შემოსავალი(ბანკის შემნახველი ანგარიშიდან)	6,634
საპროცენტო შემოსავალი(ორგანიზაციაზე გაცემული სესხიდან)	1,194
სულ ხარჯი	7,827

7. ძირითადი საშუალებები

ლარი ფინანსური ჯგუფი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს
მიწის ნაკვეთი	7,476				7,476
შენობები	774,229	34,298	-	39,605	738,923
ოფისის აღჭურვილობა	46,086	8,519		11,602	43,003
ავეჯი და სხვა ინვენტარი	32,725	24,467	15,025	10,204	46,972
სატრანსპორტო საშუალებები	21,152	115,769	19,495	17,494	99,932
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	598	1027		271	1,354
სულ ძირითადი საშუალებები	882,266	184,080	34,520	79,176	937,660

არამატერიალური აქტივები

ლარი ფინანსური ჯგუფი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს
პატენტები	11,678	16,834	-	1,945	26,567
პროგრამული უზრუნველყოფა	12,042	-	-	2,246	7,750
სულ ძირითადი საშუალებები	23,720	16,834	-	4,191	36,363

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 7).

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2018წ.	2017წ.
სავაჭრო მოთხოვნები	1,096,436	663,848
გადახდილი ავანსები	366,587	1,176,688
საბანკო გარანტია		5,632,746
<u>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>1,463,023</u>	<u>7,473,192</u>

9. მარაგები

ლარი	2018წ.	2017წ.
საქონელი	1,787,798	1,318,852
სხვა მარაგები	16,285	11,710
<u>სულ მარაგები</u>	<u>1,804,083</u>	<u>1,330,562</u>

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2018წლის 31 დეკემბერს შეადგენს 239,498 ლარს.

ლარი	2018წ.	2017წ.
სავაჭრო ვალდებულებები	239,497	426,782
მიღებული ავანსები		5,660,642
გადასახდელი ხელფასები	4,637	12,598
მიმდინარე სესხი	384,339	237,111
<u>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</u>	<u>628,473</u>	<u>6,336,933</u>

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

ლარი	2018წ.	2017წ.
ფული სალაროში	8,926	18,485
ფული მომდინარე საბანკო ანგარიშზე ლარში	23,961	34,704
ფული მომდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	26,789	7,752
სულ	59,676	60,941

12. საგადასახადო ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს 5,057 ლარის ოდენობით, როგორც მომდინარე საგადასახადო ვალდებულება.

13. კაპიტალი

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენდა 2,512,986 ლარს. 2018 წლის განმავლობაში მოხდა რამდენჯერმე საწესდებო კაპიტალის ცვლილება. საანგარიშო წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 718,824 ლარი.

14. მიმდინარე სესხები

2018 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე სასესხო ვალდებულება შეადგენდა 384,339 ლარს. გამსესხებელ მხარეს წარმოადგენს სს თიბისი ბანკი. სესხი აღებულია 2018 წლის 22 ნოემბერს 600000 (ექვსასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტის ვადა 354 დღე, საპროცენტო განაკვეთი -წლიური 6%. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებით, სასაქონლო მატერიალური მარაგით და მომავალში მისაღები დებიტორული დავალიანებით.

15. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება/ზარალი

უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება-ზარალი 2018 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ლარი	2018წ.
საკურსო სხვაობა, შემოსულობა	202,679
საკურსო სხვაობა ხარჯი	(104,017)
სულ	98,660

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.